ჩემი ლამაზი სიტყვები-2

# სუბჰანალლაჰ

სემა ჩელმე

მხატვარი: ნურ დომბაიჯი

გამომცემლობა

4 წლიდან ზევით

გამოცემის ხელმძღვანელი:
დრ. ფათიჰ ქურთ

კოორდინატორი:
დრ. ფარუქ გორგულუ

რედაქტორი:
ზეინეფ ულვიე ოზქან

ბავშვის განვითარების დოქტორი:
ნილგულ გულერ

კორექტორი:
ზეინეფ სელინ თერზი

გარფიკა და დიზაინი:
ემინე საიინ

გამოცემის დამუშავება:
ალი ჩინქი

ნაშრომის გადამოწმების
კომისიის გადაწყვეტილება

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

ქართული გრაფიკა:
მილალ ილქაი

სახელი- გვარი

წიგნის შეძენის თარიღი





ერდემს ბაბუასთვის ხელი მაგრად ჩაეჭიდა. გზის მეორე მხარეს გადასასვლელად, ქვეითის გადასასვლელთან იცდიდნენ.

მოგვიანებით შუქნიშანზე კაცი დაინახეს, რომელიც ნაბიჯს ადგამდა. თავიდან ბოლომდე მწვანე იყო.

ბაბუამ ამ მწვანე კაცს შეხედა და თქვა:

– ახლა შეგვიძლია გადავიდეთ.

ერდემმა უფრო მაგრად ჩაჭიდა ბაბუას ხელი და მოპირდაპირე მხარეს გადავიდნენ.



ცროცუართან რომ მივიდნენ, პარკის კარი გამოჩნდა. ამ პარკში ერდემი ყოველ დღე თამაშობდა. ერდემი პარკისკენ სირბილით წავიდა.

–ერდემ, შვილო, ფრთხილად იყავი, –უთხრა მამუამ.

ერდემი პარკში რომ შევიდა, მამუა სწრაფი ნაბიჯებით დაეწია.







ორივემ ერთად მოკაშკაშე მზეს შეხედა. როგორ გაეთბო და გაენათებინა ყველაფერი. ბაბუამ სიხარულით თქვა:

– სუბჰანალლაჰ.

ჩემო ალლაჰო, შენ დიადი ხარ.

ერდემმა მას შეხედა. ბაბუას სახე მზესავით ანათებდა.

რამდენიმე საათი გაჩერდნენ პარკში. ერდემი საქანელაზე და აიწონა-დაიწონაზე დაჯდა და სასრიალოზე ისრიალა. ქვიშის სასახლე ააშენა. მეგობრებთან ერთად დამალობანა ითამაშა.

საკმაოდ დაიღალა, თანაც მოშივდა.

–წამოდი მამუა, სახლში წავიდეთ, –თქვა.







სახლში წასვლისას ბავშვების ჯგუფი შენიშნეს. ბავშვები დიდი მუყაოს ყუთის ირგვლივ შეკრებილიყვნენ და ლაპარაკობდნენ.



ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

– ფრთხილად იყავით მეგობრებო! ნახეთ როგორ ეშინიათ!

დაინტერესებული ერდემი და ბაბუა ბავშვებს მიუახლოვდნენ.



ყუთში კატა იყო, რომელიც თავისი კნუტების დაცვას ცდილობდა. ყვითელი ბეწვი ჰქონდა.

ერდემმა თავდაპირველად მხოლოდ კნუტების ფეხები შეამჩნია. ზუსტად თორმეტი ფეხი იყო. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ კატებს ოთხი ფეხი აქვთ... რამდენი კატა იყო ყუთში?



ამასობაში, კნუტების სახეებიც გამოჩნდა. ერდემმა მაშინვე დაითვალა. ერთი, ორი, სამი. ყუთში სამი კნუტი იყო. ერდემი რომ ითვლიდა, ბაბუამ თქვა:

– სუბჰანალლაჰ.

ერდემ, ამათ ფერებს შეხედე! ალლაჰს რა ლამაზად გაუჩენია!

ერდემმა ბაბუას შეხედა. ბაბუას თვალები უბრწყინავდა.

ერთ–ერთმა ბავშვმა წამოიყვირა:

–ეს სულ დელას ჰგავს. ეს თქვა და ხელით ყვითელ მეწვიან კნუტზე მიუთითა.

კიდევ ერთი შავი, მესამე კი ნაცრისფერი იყო.

ბაბუას ყუთის აღება უნდოდა, მაგრამ კატამ დაიჩხავლა





–გაჩერდი ჩემო გოგონა! შენს კნუტებს არაფერს დავუშავებ! –უთხრა ერდემის ბაბუამ. ბავშვებს მიუბრუნდა და უთხრა:

–ამ პატარებს მიხედვა სჭირდებათ. ახლა მათ სახლი ვუპოვოთ და დავაპუროთ. წამოდი ერდემ!

ამ დროს კი კატის რბილ ბეწვს ეფერებოდა.





ერდემმა კაცას უთხრა:

–მოდი შინ გადმოხტი და კნუტები მშვიდად წავიყვანოთ.

კაცამ ისე შეხედა ერდემს, თითქოს მიუხვდა სათქმელს. ფუთიდან გადმოხტა. ერდემის ბაბუამ ფუთი აიღო, რომელშიც კნუტები იყვნენ.

ერდემი და კაცა ბაბუას გვერდით მიაბიჯებდნენ. კაცა ფუთს თვალს არ აცილებდა და ბაბუას ყოველ მოძრაობას ყურადღებით აკვირდებოდა.

## – სუბჰანალლაჰ.

სიმართლე რომ გითხრა, გამიკვირდა. ალლაჰს როგორი ლმობიერი გაუჩენია ეს კატა. მასაც ჩაუნერგა დედობრივი გრძნობა. ჰგონია, რომ მის კნუტებს ზიანს მივაყენებ, – თქვა ბაბუამ.

ერდემი კატასთან დაიჩოქა და უთხრა:

– ნუ გეშინია! ჩემი ბაბუა არც ერთ სულიერს ზიანს არ მიაყენებს.







უკვე სახლში მოსულიყვნენ.

ბაბუამ გაიღიმა და ერდემს თავზე გადაუსვა ხელი.

– ახალგაზრდავ, ამა გაიქეცი! ეს კატა უნდა დავანაყროთ. შენ ბებიას მდგომარეობა აუხსენი და მან იცის რითი გამოკვებოს.

აღელვებული ერდემი გაიქცა. საკუთარი თავი უკვე დიდი ეგონა. სამი პატარა კნუტი უკვე მისი პასუხისმგებლობის ქვეშ იყო. კნუტებს რძეს მიუტანდა და კატასაც კარგად მოვლა ესაჭიროებოდა.



ბაბუამ კატა და კნუტები სარდაფში ჩაიყვანა. ცარიელ ოთახში შევიდნენ, სადაც მეზობლების ძველი ნივთები ელაგა. ფეხი ძირს რომ დადო, კატამ მაშინვე კნუტებთან მიირბინა. ლოკვა დაუწყო.

– .................................... თქვა ერდემმა.

თქვენი აზრით, ერდემმა რა თქვა?

–როგორ უყვარს კნუტები. რამდენიმე წუთი არ ენახა და უკვე მონატრებია.



# აქტივობის დროა

მოამზადა: ნიღმუღ მუღეჩმა

## აქტივობა 1

# გავიგოთ რა მოვისმინეთ

>> ბავშვებს ქვემოთ მოცემული კითხვები დაუსვით.

ა) ვინ არიან მოთხრობაში?

ბ) იმ დღეს ერდემი და მისი ბაბუა სად წავიდნენ?

გ) პარკიდან დაბრუნებისას რა მოხდა?

დ) რას გააკეთებდი, რომ დაგენახა კატა, რომელმაც ახლახანს გააჩინა კნუტები?

ე) რითი შეგვიძლია ქუჩის კატებზე დახმარება, იმის გარდა, რომ შევიფაროთ?

>> ბავშვები გაამხნევეთ, რომ კითხვები დასვან. ამისთვის მინიშნებები მიეცით, მაგალითად: რომელი? რა? სად? როდის? როგორ? "მიდი, აბა მკითხე!" უთხარით და აგრძნობინეთ, რომ შეკითხვას ელოდებით.

>> უთხარით, რომ გააანალიზონ რაც მოისმინეს. შემდეგი მიმართულებით წაიყვანეთ:

ა) მოთხრობა მოგეწონა? რას ფიქრობ მოთხრობაზე?

ბ) რა იგრძენი მოთხრობის ბოლოს? ახლა მინდა, რომ თვალები დახუჭო და ამ გრძნობას დაეყრდნო. რა ჰქვია ამ გრძნობას?

გ) რომელმა ნაწილმა აგაღელვა?

დ) მოთხრობას რა ერქვა? მოთხრობის სახელი რომ შევცვალოთ, რომელ სახელს მირჩევდი?

ე) შეაფასე მოთხრობა ათ ბალიანი სისტემით და მითხარი, რამდენ ქულას დაუწერ. ეს რიცხვი ჰაერში თითით გამოსახე.

აქტივობა 2

# سُبْحَانَ اللّٰهِ

ჩემო დიადო ალლაჰო! შენ ყველა უარყოფითი თვისებისგან შორს გაყენებ.

## სუბჰანალლაჰ რას ნიშნავს?

>> მოთხრობას სუბჰანალლაჰ ერქვა. ხომ ასეა? სიტყვა სუბჰანალლაჰ აქამდე თუ გსმენია? სად და როგორ გაიგე? ვინ/ ვინებმა გითხრეს? თუ გახსოვს?

>> შენი აზრით, სუბჰანალლაჰ რომ ვამბობთ, რას ვგულისხმობთ? (ერთად მოძებნეთ პასუხები. აქ მნიშვნელოვანი სწორი პასუხის პოვნა კი არა, ერთ კონკრეტულ რამეზე ფიქრების მოკრებაა. "ჰმმ, კარგი აზრია. ძალიან კარგი." ამის მსგავსად გაამხნევეთ.)

>> რას იტყვი ასე რომ ვიფიქროთ? მოდი ჯერ ვიპოვოთ მოთხრობაში რამდენჯერაა ეს სიტყვა გამოყენებული. მოდი დავითვალოთ.

>> ვნახოთ აბა, რომელ შემთხვევებშია ეს სიტყვა გამოყენებული და ვინ თქვა? (კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ის ადგილები, სადაც სუბჰანალლაჰ არის გამოყენებული.)

>> ბოლოს კი განმარტეთ: "სუბჰანალლაჰ" ნაკლოვანებებისგან შორს მყოფი და შეუდარებელი თვისებების მქონე ალლაჰია. ალლაჰი სუბჰანია, უარყოფითი თვისებებისგან შორსაა. ალლაჰი ყველა ნაკლოვანებისგან შორს დგას. სასიამოვნო რაიმის დანახვისას რომ ვიტყვით, "რა კარგად გაუკეთებიათ!", ეს ჩვენი გამჩენის, ალლაჰის, გახსენება და ქებაა. განსაკუთრებით კი გაოცებისას, გაკვირვებისას, აღფრთოვანებისას ან კიდევ რაიმის ძალიან მოწონებისას, მოულოდნელად კარგ და საკვირველ შემთხვევებში ალლაჰის სიდიადისა და უნაკლობის გამოხატულებაა.

>> ალლაჰის განდიდება, ქება და ნაკლოვანებებისგან შორს დაყენებას ნიშნავს. არანაირი უარყოფითი და ნაკლი, საკმარისი, სრულყოფილი და უნაკლოა. ჩემო ალლაჰო, შენ ყველა უარყოფითის, სირცხვილისა და ნაკლისგან, ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისებებისგან შორს გაყენებ.

## აქტივობა 3

>> ერდემმა და ბაბუამ ერთად მოკაშკაშე მზეს შეხედეს. როგორ გაეთბო და გაენათებინა ყველაფერი. ბაბუამ თქვა: "სუბჰანალლაჰ. ჩემო ალლაჰო, შენ დიადი ხარ." აქ რომელი გრძნობა შეიძლება ეგრძნო ბაბუას? (რომელი სიტყვა აღწერდა ამ გრძნობას?) გააფერადე შესაფერისი სახე.



შიში



სიხარული



წყენა

>> ყუთში სამი კნუტი იყო. ერდემი რომ ითვლიდა, ბაბუამ თქვა: "სუბჰანალლაჰ. ერდემ, ამათ ფერებს შეხედე! ალლაჰს რა ლამაზად გაუჩენია!" აქ რომელი გრძნობა არ შეიძლება ეგრძნო ბაბუას? (რომელი სიტყვა არ აღწერდა ამ გრძნობას?) გააფერადე შესაფერისი სახეები.



გაოცება



ბრაზი



სიხარული

>> ერდემსა და ბაბუას კატები ძალიან უყვარდათ. შენ რომელი ცხოველები გიყვარს? ცხოველების რომელი თვისებებია შენთვის გასაოცარი?

>> "სუბჰანალლაჰ. სიმართლე რომ გითხრა, გამიკვირდა. ალლაჰს როგორი ლმობიერი გაუჩენია ეს კატა. მასაც ჩაუნერგა დედობრივი გრძნობა." აქ რომელი გრძნობა შეიძლება ეგრძნო ბაბუას?



გაოცება



ბრაზი



სირცხვილი

ა) ბოლოს რა გაგიხარდა და რამ გაგაოცა?

ბ) შენ დღეს რომელ მოვლენებზე რა განიცადე? აბა მოგვიყევი!

გაოცება: მოულოდნელი, საკვირველი და უცნაური რაიმისგან გამოწვეული გაკვირვება, აღტაცება. ორივე გრძნობა ალლაჰის "სუბჰანალლაჰ" სიტყვით გაიხსენა. შენ ამ გრძნობებს რომელი სიტყვებით გამოხატავ? (შეეცადეთ ბავშვს გაახსენოთ ის წუთები, გაოცება და სიხარული რომ იგრძნო.)

## აქტივობა 4

>> წაიკითხეთ ლექსი და თქვენთვის ცნობილი მუსიკის ან ილაჰის ფონზე თქვით.

მოჩქეფს, მოედინება მდინარეები
ბევრი რამ მაოცებს, მიკვირს,
და ცის შემამკობელი
ვარსკვლავები,
რამდენი სილამაზეა ირგვლივ!

მათი შემხედვარე ვამბობ,
სუბჰანალლაჰ!

ზოგჯერ უმწეობას ვგრძნობ,
ვერ ვუმკავდები ტვირთს,
სასოწარკვეთა მიპყრობს,
და სანუგეშოდ იმ დროს,

წარმოვთქვამ, სუბჰანალლაჰ!

აქტივობა 5

# ბიოლოგიური მონაცემები

>> თითის საღებავის დახმარებით გააკეთეთ ბავშვებთან ერთად თითისა და ხელის ანაბეჭდი.

>> ასწავლეთ ბავშვებს ლუპის დახმარებით მუჭისა და თითის ანაბეჭდის შესწავლა.

>> იმავე მეთოდით თქვენი ან სხვისი მუჭისა და თითის ანაბეჭდი გამოიკვლიეთ და ერთად შეადარეთ. ჰკითხეთ თუ იპოვნიან განსხვავებას.

>> გაუზიარეთ ქვემოთ მოცემული განმარტებები მეცნიერული დონის შესაფერისად. შეგიძლიათ ამ თემასთან დაკავშირებით ვიდეოები ნახოთ ან ფოტოები გადაამოწმოთ.

>> თუ იცოდი, რომ ჩვენი, ყველას, თითის ანაბეჭდი ერთმანეთისგან განსხვავდება? შეუიარაღებელი თვალით ნახვისას, შეიძლება ყველას თითის ანაბეჭდი ერთმანეთს ჰგავდეს, მაგრამ არც ერთი თითის ანაბეჭდია იდენტური. ყველა ადამიანის თითის ანაბეჭდის ფორმები და დეტალები მხოლოდ კონკრეტულად მისთვისაა დამახასიათებელი. ახლა ამ სამყაროში ვინც ცხოვრობს და ამ სამყაროს გაჩენიდან დღემდე ვინც იცხოვრა და იცხოვრებს, მათი, ყველასი, თითის ანაბეჭდი განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთი კვერცხუჯრედიდან წარმოქმნილი ტყუპების თითის ანაბეჭდებიც კი, რომელთა დნმ-ის წყობაც იდენტურია, განსხვავებულია. იმის გამო, რომ თითის ანაბეჭდი ყველასთვის განსაკუთრებულია, ყველაზე მნიშვნელოვან "პირადობის დამადასტურებლად" ითვლება. ის კარის სისტემები, რომლებიც თითის ანაბეჭდებით იხსნებიან, კონტროლის დასამყარებლად, თითის ანაბეჭდის ტექნოლოგიაზე დაყრდნობილი სისტემებია. ამ ტექნოლოგიის წყალობით შეუძლია ხალხს უნაკლო თითის ანაბეჭდით გავიდეს.

>> ერთმანეთის თვალის ფერადი გარსი შეამოწმეთ. ასწავლეთ ბავშვს სარკეში თვალის გუგას შეხედოს და შეისწავლოს.

>> გაუზიარეთ ქვემოთ მოცემული განმარტებები მეცნიერული დონის შესაფერისად. შეგიძლიათ ამ თემასთან დაკავშირებით ვიდეოები ნახოთ ან ფოტოები გადაამოწმოთ.

>> თითის ანაბეჭდის მსგავსად, ადამიანის თვალებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. დღესდღეობით, კოდის მაგივრად, პაცრონს თვალით ცნობს სხვადასხვა ტექნოლოგია და მუშაობს, ირთვება კომპიუტერი. ყველა ადამიანის თვალი განსხვავდება. არც ერთ თვალის გარსს (თვალის გუგის irგვლის არსებული ფერადი წრე) არ ჰყავს მისი ზუსტი ასლი. დღესდღეობით, აეროპორტებში თვალის გარსის მიხედვით დგინდება ვინაობა და მარტივადაა შესაძლებელი გასვლა. სუბჰანალლაჰ! რამდენად დიადია ალლაჰი, რომელმაც სულ პაცარა თვალის გუგაში უსასრულო განსხვავებები გააჩინა!

## აქტივობა 6

>> წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ლექსი,
შემდეგ კი მითითებებს უპასუხეთ.

სუმჰანალლაჰ! სუმჰანალლაჰ!
თუ რამ გამაოცებს, სუმჰანალლაჰ!
სილამაზის ხილვამ აღმაფრთოვანა, ალლაჰ!
ასე აღფრთოვანებისას, სუმჰანალლაჰ!
საოცარი რამის ხილვისას ყოველთვის
ვამბობ: სუმჰანალლაჰ!

სუმჰანალლაჰ, სუმჰანალლაჰ
ვამბობ, რომ ღმერთი სრულყოფილია.
მას არ გააჩნია ნაკლოვანება.
მან გამაჩინა და მინდა გამოვხატო მადლიერება.
მიყვარხარ, ღმერთო მოწყალეო!
შენ გაქსენებ; სუმჰანალლაჰ, სუმჰანალლაჰ!
რაოდენ შორსაა შენგან ნაკლოვანება!

მითითება

>> წარმოთქვი ლექსი ილაჰის მსგავსად შენი ინტონაციით.

>> ილაჰის თქმისას სხეულით მიყევი.

>> თქვი სიტყვა, რომელიც "ს" ასოზე იწყება.

>> თქვი სიტყვა, რომელიც "სუ" მარცვლით იწყება.

>> ირგვლივ მიმოიხედე და იპოვე ნივთები, რომლებიც "ს" და "სუ"-ზე იწყება. ჩაიხატე ისინი რვეულში.